საქართველოს ეროვნული არქივის მიერ
(ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) ხანძარქრობის სისტემის მოდერნიზაციის მოწყობის საპროექტო
მომსახურების კონკურსის საშუალებით
შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი № 01

ქ. თბილისი „5-“ „ივლისი“ 2013 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

თ. იაშვილი გ. ასკურავა ი. ჭანტურიძე ი. ჩიბიროვი გ. ხაზარაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ე. ხარაიშვილი

დღის წესრიგი:

ხანძარქრობის სისტემის მოდერნიზაციის მოწყობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ი. ჭანტურიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო განცხადება და პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ე. ხარაიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
   შესყიდვის ობიექტია: **საქართველოს ეროვნული არქივის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) ხანძარქრობის სისტემის მოდერნიზაციის მოწყობის საპროექტო მომსახურება.**
   საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს.
   დაფინანსების წყარო: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
   2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).
   2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
   დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
3. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 15 ივლისს 17:00 საათზე.
   დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 15 ივლისს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #1, საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შენობა, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური.
4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
7. საკონკურსო კომისიის მიერ უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადებას, რომლის წარმოდგენილი პროექტი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში შესაბამისი და ასევე დეტალურად იქნება გაწერილი სპეციოფიკაციები, ნახაზები, აღწერილობები და ა.შ)
8. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

9. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი: ნინო განჯელაშვილი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი; მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური. ტელეფონი: 822 238-14-25

ტექნიკური დავალება

საქართველოს ეროვნული არქივის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) ხანძარქრობის სისტემის მოდერნიზაციის მოწყობის საპროექტო მომსახურება.

ძირითადი მოთხოვნები:

საქართველოს ეროვნული არქივის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოდერნიზაციის ტექნიკური პირობების ჩამოყალიბებისათვის გათვალისწინებულია აღნიშნული საარქივო მასალების მნიშვნელობა ქვეყნისათვის, მისი უსაფრთხო შენახვის აუცილებლობა. ასევე,გათვალისწინებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №23 ბრძანება „ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობების დამტკიცების შესახებ“.

ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველას №1-ში მდებარე ეროვნული არქივის ოთხი შენობის : 8 სართულიანი საისტორიო ცენტრალური არქივის (მათ შორის 7 სართულზე განთავსებული არქივსაცავებით), 16 სართულიანი უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის (მათ შორის 14 სართულზე განთავსებული არქივსაცავებით), კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის მესამე სართულზე განთავსებული საცავების არატოქსიკური, ინერტული აირით და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის ცალკემდგომი, ერთსართულიანი, ნიტროფუძიანი ფირების საცავის ავტომატური ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

სისტემა უნდა დაპროექტდეს ისე, რომ მივიღოთ ერთიანი, ავტომატური, არატოქსიკური, ინერტული აირით ხანძარქრობის სისტემა, რაც გულისხმობს ყველა სისტემის-ხანძრის დეტექციის, ქრობის მართვის პულტების, ცილინდრებისა და მისი შემადგენელი ყველა მოწყობილობის ერთობლიობას, როგორც ერთ მთლიანობას (მხოლოდ კფფდ არქივის ნოტროფუძიანი ფირების საცავის შემთხვევაში ცეცხლმაქრ აგენტად გამოიყენება წყალი). პროექტირებისას გასათვალისწინებელია სისტემის ეფექტურობა. დასაპროექტებელი ავტომატური ქრობის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს, რომლებიც მითითებული უნდა იყოს პროექტის ექსპლიკაციაში: პროექტში გასათვალისწინებელია : განგაშის შედეგად გაზისაგან დაცლილი ცილინდრების უმოკლეს გონივრულ ვადაში გადამუხტვა. სისტემას უნდა ჰქონდეს გამართულობის შემოწმების პროგრამა, რომლითაც განხორციელდება მისი პერიოდული ტესტირება. ასევე პროექტი უკვე უნდა მოიცავდეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით გაანგარიშებულ ტექნიკურ მონაცემებს.

- **პროექტირებისას გასათვალისწინებელია, რომ შენობების ნახაზები არ არის ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული ნახაზები პრეტენდენტმა უნდა შეასრულოს და წარმოადგინოს საკუთარი ხარჯებით.**
- **შენობის ნახაზებს პრეტენდენტი გაეცნობა ადგილზე.**
- **პროექტი უკვე უნდა მოიცავდეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით გაანგარიშებულ ტექნიკურ მონაცემებს.**

ზოგადი მოთხოვნები:

ხანძრის მაღალმგრძნობიარე დეტექციისა და ქრობის ავტომატური სისტემა უნდა დაპროექტდეს ისე, რომ სახანძრო უსაფრთხოებას აკონტროლებდეს როგორც ადგილობრივი, ასევე გაერთიანებული მიმღებ-მაკონტროლებელი ხელსაწყო;

1. ეროვნული არქივების საცავებში არსებული ობიექტის სპეციფიურობიდან გამომდინარე, აუცილებელია ცეცხლმაქრ აირებად გამოყენებულ იქნას არა ტოქსიკური, ინერტული აირი, რაც აგრეთვე გულისხმობს დენგაუმტარობასა და არაკოროდირებადობასაც. თანამედროვე აირები, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს: US EPA, NFPA, ANSI, UL, LPBC და სხვა. მათი გამოყენებით გარანტირებული უნდა იყოს საარქივო დოკუმენტაციის დაცვა დაზიანებისაგან.
2. პროექტირებისას გასათვალისწინებელია საარქივო დოკუმენტაციის (ქაღალდის ფუძე) ადვილად წვადობა, სავარაუდო ხანძრის გავრცელების მაღალი სიჩქარის მახასიათებელი, რის გამოც სისტემაში გამოყენებული უნდა იქნას თანამედროვე, მაღალმგრძნობიარე დეტექციის სისტემა, რომელიც ხანძრის გაჩენის საწყის ეტაპზევე მოახდენს რეაგირებას. სისტემაში გამოყენებული ყველა მოწყობილობა, დეტალი, კომუნიკაციები, პნევმოხაზები უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნას.
3. სისტემას უნდა ჰქონდეს როგორც ხმოვანი, ასევე ოპტიკური საგანგაშო სიგნალიზაცია, ხანძრის ქრობის სასურველი დროით შეყოვნების ღილაკები; საცავის ყველა სართულზე, შესაფერის ადგილზე უნდა დამონტაჟდეს ხანძრის სიგნალიზაციის, ქრობის შეყოვნების და აირის გამშვები ღილაკები; საცავში მომუშავე პერსონალის გაფრთხილების მიზნით განგაში სიგნალი ხანძრის გაჩენის თაობაზე, უნდა ემცნოს როგორც ოპტიკური, ასევე აკუსტიკური (ხმოვანი) შეტყობინებით. გასათვალისწინებელია შეყოვნების ოპტიმალური დრო პერსონალის დროული ევაკუაციისათვის. თანაც ხანძრის სრული ჩაქრობის გარდა გარანტირებული უნდა იყოს ადამიანის უვნებლობა ქრობის არეში გარკვეული პერიოდით დარჩენის შემთხვევაში.
4. გათვლა ბალონების რაოდენობისა უნდა მოხდეს სპეციალიზებული, ლიცენზირებული სახანძრო კომპიუტერული პროგრამით; ობიექტი უნდა დაიყოს ქრობისათვის ეფექტურ ოპტიმალურ ზონებად (მიმართულებებად).
5. კონდიცირება-ვენტილაციის სისტემების მართვის პულტი უნდა დაუკავშირდეს ხანძარქრობის ერთიან სისტემას: განგაშის შემთხვევაში, პირველის აუცილებლად და მყისიერად გათიშვის მიზნით.

არქივსაცავები თავისთავად ნაწილდება ავტომატური „ქრობის" შემდეგ სივრცეებად:

ა) საისტორიო ცენტრალური არქივის შენობის შვიდივე სართულის საარქივო საცავის საერთო ფართი შეადგენს 4620მ²-ს. თითოეულ სართულზე არქივსაცავის სიმაღლე არის 3,15 მეტრი, ხოლო ფართობი არის ერთმანეთის იდენტური და შეადგენს 660მ²-ს. ავტომატური ქრობის სისტემის ცეცხლმაქრი აირის ბალონები - რეზერვუარები შესაძლებელია განლაგდეს სარდაფის სართულზე და აირის სართულებზე მიწოდება განხორციელდეს სპეციალური მილებით. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სართულის 100%-იანი გაზის რეზერვი.

ბ) უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის 14 საარქივო საცავის ფართი 2940მ²-ია. თითოეულ სართულზე არქივსაცავების სიმაღლე არის 2,55 მეტრი, ხოლო ფართობი ყოველ სართულზე იდენტურია და შეადგენს 210მ²-ს. ავტომატური ქრობის სისტემის ცეცხლმაქრი აირის ბალონები შესაძლებელია განლაგდეს სარდაფის სართულზე და აირის სართულებზე მიწოდება

განხორციელდეს სპეციალური მილებით. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სართულის 100%-იანი გაზის რეზერვი.

გ) კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის შენობის მესამე სართულზე განლაგებული სამივე არქივსაცავის საერთო ფართი შეადგენს 248,8მ²-ს. (55,5მ² + 42,6მ² + 144,7მ²) . ფონოსაცავის დიდი საცავის სიმაღლე 3,53 მეტრია, პატარა საცავისა კი 3,50მეტრი. ფოტოსაცავის სიმაღლეა 3,51 მეტრი. მოქმედებს ანალოგიული სისტემა. ავტომატური ქრობის სისტემის ცეცხლმაქრი აირის ბალონები შესაძლებელია განლაგდეს მხოლოდ საცავებში ინდივიდუალურად. აუცილებლად დამატებით გასათვალისწინებელია მინიმუმ ერთი, მათ შორის უდიდესი არქივსაცავის 100% გაზის რეზერვი.

დ) კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის ნიტროფუძიანი ფირების (ეზოში ცალკე მდგომი ერთ სართულიანი ნაგებობა) საცავის საერთო ფართი შეადგენს 144მ²-ს, ბოქსსაცავების ჯამური ფართი კი -98მ². აქ ცეცხლმაქრ აგენტად გამოსაყენებელია წყალი. ბოქსსაცავებსა და დერეფანში დასაპროექტებელია საჭირო ოდენობის წყლის სპრინკლერის მოწყობა, მათი ოპტიმალური განლაგებით.

საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები და პროექტი უნდა წარმოადგინოს როგორც წერილობითი ფორმით , ასევე ელექტრონული სახით ჩაწერილი cd დისკზე.

კონკურსანმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ–ს ჩათვლით;

ბ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის თაობაზე (კონკრეტულად ხანძარქრობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე)

დ) კონკურსანტის რეკვიზიტები.

ე) გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ნახაზები, დეტალური სპეციფიკაციები, აღწერილობები და ა.შ ტექნიკური დავალების შესაბამისად) და ხარჯთაღრიცხვა

კონკურსანმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

საქართველოს ეროვნული არქივი (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1 ტელ. 2 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-211358957), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის სოფიო ლონდარიძის სახით და ----------შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ———— სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება"_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული არქივის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) ხანძარქრობის სისტემის მოდერნიზაციის მოწყობის საპროექტო მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა ------- **ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღეში და მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს როგორც წერილობითი ასევე ელექტრონული სახით ჩაწერილის cd დისკზე, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას #1.

გ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები პროექტში შემსყიდველის დაკვეთით. ასევე, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია**:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ _____.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს _____.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის **„ა“** ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების **0.07%** ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10 (ათი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი**: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #1, **ტელეფონი**: 238-14-25, **საბანკო რეკვიზიტები:**	

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ეროვნული არქივი

011958063157013

KA011958063157013

№ 07/6403

05 / ივლისი / 2013 წ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს
კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის ტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის მე-5 მუხლის უძველზე გთხოვთ, გამოაქვეყნოთ საქართველოს ეროვნული არქივის საკონკურსო განცხადება სახელმწიფო ყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე სოფიო ლონდარიძე